აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 1

23 მაისი 2012 წელი ქ. ბათუმი

სხდომას თავმჯდომარეობდა: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე და თამარ ხოზრევანიძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

1. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვას უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“

კანონში 2012 წლის 21 მაისს განხორციელდა ცვლილებები, რის თანახმადაც, უმაღლესი საარჩევნო კომისიას განესაზღვრა ბიუჯეტის ასიგნება, შესაბამისად რესპუბლიკური ბიუჯეტით უმაღლეს საარჩევნო კომისიაზე გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნება იწვევს უსკოს მიერ უკვე დამტკიცებულ (30.12.2011 წ. ანკარგულება №3) 2012 წლის ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების შეტანას, რის შემდეგაც სიტყვა გადასცა უსკოს ეკონომიკური სამსხურის უფროს ლევან სამნიძეს კომისიისათვის დეტალურად გაეცნო უსკოს 2012 წლის ხარჯთაღრიცვა.

ეკონომიკური სამსახურის უფროსმა ლევან სამნიძემ კომისიას დეტალურად გააცნო უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხასრჯთაღრიცხვაში შესატანი ცვლილებები.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის ხარჯთაღრიცხვა დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №3 განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია